გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 65

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.16.287; მდებარე გორში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ), პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 27 თებერვალს შემოსულია ფიზიკური პირის, ლაშა შავდათუაშვილის პ/ნ 59001105828 განცხადება N4310. აღნიშნული განცხადებით ლაშა შავდათუაშვილი ითხოვს, აღნაგობის უფლებით გადაეცეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.16.287, ფართობით 895.00 კვ.მ. რომელიც მდებარეობს გორში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სპორტული გამაჯანსაღებელი და სპორტსმენებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 20 იანვარს „აუდიტორული დასკვნა უძრავი ქონების შეფასების ანგარიშის შესახებ" გრ-N6 დასკვნით, მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.16.287 (ფართობით 895.00 კვ.მ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 35 800.00 ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მისი აღნაგობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 895 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.16.287), სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემა, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ"

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი წლიური საფასურის ოდენობა და დამტკიცდეს აუქციონის პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 895 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.16.287), სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, პირობიანი ელექტრონული აუქციონით გაცემაზე.

2. გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 895.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.16.287, მდებარე გორში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ), საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 35 800.00 ლარით.

3.აღნაგობის საზღაურის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3580 (სამიათას ხუთას ოთხმოცი) ლარით.

4.აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა)მიწის ნაკვეთზე მოეწყოს სპორტული გამაჯანსაღებელი და სპორტსმენებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი.

ბ)აშენდეს და დაიწყოს ფუნქციონირება, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2 წლის ვადაში.

5.სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, გადაცემის ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე